ხათუნა მეშველიანი

# ფიქრების ჩერი

ხათუნა მეშველიანი

# ფიქრების ჩერი

თბილისი 2022

# მომისმინე ცვრ

## მე რომ ზეცას შევღაღადო...

მე რომ ზეცას შევღაღადო ხომ მომისმენ ცაო,
გული რომ გადაგიშალო, ავიმაღლო ხმაო,
ფიქრის ტალღამ რომ წამიღოს, ცრემლად მექცეს ზღვაო,
მონატრებამ რომ მატაროს სევდიანი გზაო,
ციდან წამოსულმა წვიმამ დამისველოს თმაო
და წარსულმა სინანულით მომადევნოს ხმაო...
წამწამებზე ცრემლები მაქვს დაკიდული ცაო,
გეხვეწები ჩამიხუტე, ნუ დამტოვებ რაო.
მზემ თვალი რომ ამარიდოს, დაინისლოს ცაო,
ღრუბლებში რომ დამეკარგოს, მერე რა ვქნა რაო,
სავალი მაქვს ბილიკები, მომისმინე ცაო,
მე გული გადაგიშალე, ავიმაღლე ხმაო,
თვალხატულა მზის სხივები ჩამახუტე რაო,
მერე ზეცას წამიყვანე, დამილოცე გზაო.

*19.06.2022 წ.*

## შავთეთრი ფიქრები

შავთეთრმა ფერებმა არია გონება,
ამდენმა სიცივემ დაბინდა გული.
ლოდებად იმსხვრევა, ინგრევა ტკივილი,
საშინლად ღრიალებს ეული სული!
მთებიდან გაჰკივის დაჭრილი არწივი,
ქარაფებს ასკდება დაღლილი ჯიხვი.
არავის ადარდებს, არავის ტკივილი,
ამაოდ იკავებს არენას ცირკი!
ჩანჩქერი ღრიალით ეშვება მთებიდან,
მძვინვარე ნაკადი ნაპრალებს ხეთქავს.
შლამით და ღორღით ივსება მორევი,
ლაფი და ტალახი ყველაფერს შთანთქავს!
ლოდებად იმსხვრევა, ინგრევა ტკივილი,
ამდენი სიცივე სინათლეს აქრობს.
შავ-თეთრი ფერებით ირევა გონება,
სიცრუის მორევი ყველაფერს ახშობს!
მთებიდან ღრიალით ეშვება ჩანჩქერი,
საშინლად გუგუნებს დაღლილი მიწა.
ისევ გაჰკივის დაჭრილი არწივი,
შავი ყორანი გაჰკვრია ზეცას!
შავ-თეთრმა ფერებმა არია გონება,
ამდენმა სიცივემ დაბინდა გული.
ლოდებად იმსხვრევა, ინგრევა ტკივილი,
ჩუმი ქვითინით ღრიალებს სული!

*2021 წ*



## ვიცი, რომ ხელს არ გამიშვებ...

და შენ გინდა რომ ლაბირინთებმა მეც ჩამძირონ ღელვის
მორევში,
აზვირთებული ტალღებივით მიმახეთქონ ნაპირს ქვიშიანს.
გამოფიტული, გადაღლილი, მიუსაფარი,
სიბნელის შიშით, რომ დავნებდე ღამეს ცოდვიანს.
მითხარი, გინდა ამ ცხოვრებას ისე გავუყვე,
სიცარიელემ არ დაიწყოს სულში ფათური,
თვალებს რა ვუთხრა, რომ ირეკლავს ტკივილს და სითბოს,
თან რომ ატარებს მოგონებებს მთელი ცხოვრების.
ხოდა მეც ვივლი, გავუყვები კიბეს მაღლიანს,
ხანდახან ისიც მიმახეთქებს ნაპირს ლამიანს,
და მერე მზერას ცას მივაპყრობ, ზეცას ღამიანს,
დავიჩოქებ და ჩავეკვრები მიწას მადლიანს.
აზვირთებული ტალღებივით ფეთქავს ეს გული,
და სარკიდანაც იყურება ლამაზი სევდა,
ვიცი, ვიცი რომ არასოდეს ხელს არ გამიშვებ
და ასე ვივლით მოგონებად მე და შენ ერთად.
და მაინც გინდა ლაბირინთებმა რომ ჩამძირონ ღელვის
მორევში,
აზვირთებული ტალღებივით მიმახეთქონ ნაპირს ქვიშიანს,
შეშინებული, გადაღლილი, მიუსაფარი
რომ არ დავნებდე არასოდეს ღამეს ცოდვიანს.
სარკიდან მიმზერს ანარეკლი ჩემი თვალების,
მერე ამ მზერას ცას მივაპყრობ, ზეცას ღამიანს,
ვიცი, ვიცი რომ არასოდეს ხელს არ გამიშვებ
და ისიც ვიცი, რომ შევხვდებით ერთად განთიადს.

*14.09. 2021*

* * *

გარეთ ფერდობზე თვალი მოვკარი
აყვავილებულ ხეებს.
თითქოს სურნელი ახლოს ვიგრძენი,
მისკენ ვიწვდიდი ხელებს.
გულმა ფრთხიალი ისე დაიწყო
ლამის გაფრინდა ცისკენ,
გამეღიმა და ჩავიჩურჩულე,
ღმერთო, გაზაფხულს იწყებ!
მოკლე ბილიკით გადავიარე,
გულში მეღვრება სითბო.
ყველა ხე ერთად როდი ყვავილობს,
ზოგი მზის სხივში კვირტობს.
ასე მეგონა აი წამიც და
მზე ჩადნებოდა კვირტში,
გადასკდებოდა, გაიშლებოდა
ყვავილთა თოვა ცაში.
ზეცას შევძახე, ცისფერ ლაჟვარდებს,
გული სიყვარულს ქარგავს.
აყვავებული ხეების სურნელს
ქარი გიჟივით ფანტავს.
მზე ეფერება გაკვირტულ ხეებს,
გულში ჩაეკრას ლამის,
ლაღობს და ხარობს, სიყვარულს აფრქვევს,
სხივებსაც ხარბად აყრის.
გულმა ფრთხიალი ისე დაიწყო
ლამის გაფრინდა ცისკენ,
გამეღიმა და ჩავიჩურჩულე,
ღმერთო, გაზაფხულს იწყებ!

*2022 წ.20.02.*



## მთვარეს გულში ჩავარდნია ზღვა...

ვარსკვლავებით მოჭედილა ზეცა,
მთვარე ეტრფის მოლივლივე ზღვას.
სიოს მოაქვს სიმღერების ხმები,
ზღვის ტალღებიც აყოლებენ ხმას.
ფერხულს ცეკვავს ვარსკვლავების გუნდი,
მთვარის შუქი ეფინება ცას,
ნიავიც კი ფეხაკრეფით დაქრის
და ზღვის სურნელს დაატარებს თან.
ბადრი მთვარე ღამის წყვდიადს ფანტავს,
ვარსკვლავები უნათებენ გზას,
ღამეა და სიჩუმეა ირგვლივ,
ისმის მხოლოდ ზღვის ტალღების ხმა.
სიმშვიდეა, ღამე მთვარე სერობს,
ვარსკვლავები ანათებენ ცას,
მთვარის შუქით მოელვარე ზეცა,
ისევ ეტრფის მოლივლივე ზღვას.
სიოს მოაქვს სიმღერების ხმები,
ზღვის ტალღებიც აყოლებენ ხმას,
ვარსკვლავებით მოჭედილა ზეცა,
მთვარეს გულში ჩავარდნია ზღვა.

*2020 წ.*

## ჩემი ზღაპარი

ცისფერ ალიონს სიყვარულში გამოვუტყდები,
ვარდისფერ ზეცას ფიანდაზად გულს დავედები,
ყვითელ მზის სხივებს ათინათით ჩავეკონები
და ცისარტყელას ყველა ფერში ჩავეხუტები.

წვიმის წვეთებად მიწის გულში ჩავინამები,
მერე კვირტებად შიშველ ხეებს მივეხუტები,
გაზაფხულის პირს ენძელებად მოვიქარგები,
ყოჩივარდების გვირგვინებში ჩავიკარგები.

თოვლის ფიფქებით სადედოფლო კაბას მოვიქსოვ,
გაშლილ თმებში კი, სავსე მთვარე სხივებს ჩამიქსოვს,
აკაშკაშებულ ვარსკვლავების მანდილს მოვისხამ,
თეთრი ღრუბელი ტახტრევანით ცისკენ წამიყვანს.

ცისფერ ალიონს სიყვარულში გამოვუტყდები,
ყვითელ მზის სხივებს ათინათად ჩავეკონები,
შენთან მეგზურად გამომყვება ცისკრის ვარსკვლავი
და მერე... ჩუმად დასრულდება თეთრი ზღაპარი.

*2022 წ.11.02.*



## სევდის მომგვრელი ფიქრი

ღამეა და დანისლულა ზეცა,
ნისლს ჩაუკრავს მოგონება ძველი.
ღამეა და მემატება სევდა,
ღამეა და ფიქრს მივყვები ფრენით.

სიოს გული გაუხსნია ცისთვის,
ამბორს უძღვნის ვარსკვლავების ნამქერს.
წვიმა ცრემლად ჩამოღვრილი ციდან
იასამნის სურნელს ატანს სათქმელს.

ვარსკვლავები მიმალულნი ცაზე,
ღამის ბინდში ჩაფერფლილან უხმოდ,
მხოლოდ სიო გაშმაგებით დაქრის,
ღამის ბინდში მთვარის ნახვას ლამობს.

ცრემლის წვეთი წამოსული ციდან,
მოგონებებს მიმოფანტავს დროში.
ღამეა და დანისლულა ზეცა.
ისევ სევდის მომგვრელია ფიქრი.

*2020 წ.*

## სევდა

როცა ჩურჩულით გესაუბრები,
მაშინ ვხვდები, რომ სულ ჩემთანა ხარ.
გარეთ ქარი ქრის გაგიჟებული,
ჯებირებს ამსხვრევს სურვილთა ტალღა!

ფანჯრიდან ფარდას იტაცებს ქარი
და შემოიხვევს სახეზე ჩადრად,
მაშინ ოცნება იწყებს ფორიაქს
და მონატრება იქცევა ზღაპრად!

და როცა ქარი კვლავ დაქრის გარეთ,
სულის მარწუხებს ეკვრება სევდა,
შიშველ ხეებში ჩაფლული ღამე
მოგონებების მეგზური ხდება.

ისევ ქარს ვატან მოკითხვას შენთან,
თოვლის ფიფქები ნატვრას მიხდენენ.
თეთრ ფიანდაზად მოქარგულები
ჩუმი სიმღერით გიალერსებენ.

მოგონებებად ქცეული ღამე,
სულში დამალულ სევდას ინახავს.
გარეთ ქარი ქრის გაგიჟებული,
ჯებირებს ამსხვრევს სურვილთა ტალღა!

*2022 წ. 27.01.*



## დანამული თვალები

მალე შემოდგომა მოვა,
ისევ იქროლებს ქარი.
ჭვიმაც წამოვა ხშირად,
მიწას დაფარავს ცვარი.
და აცივდება ისე,
როგორც ციოდა მაშინ.
გახსოვს? იმ ყვითელ ფოთლებს,
როგორ ვფანტავდით ქარში,
წვიმა ნამავდა სახეს,
და ქარი ისევ ქროდა.
ფოთლებს ხალიჩად მორთულს,
მიწის სურნელი ქონდა,
ყვითელი შემოდგომაა,
და მონატრება ჩუმი...
მიწაზე დაყრილ ფოთლებს,
სურნელი ასდით შენი.
წვიმა წამოვა ისევ,
მიწას დაფარავს ცვარი.
მაგრამ დანამულ თვალებს
როგორ გააშრობს ქარი?!

*2020 წ. 29.08.*

## მე ქარიშხალში მოგონებებად დავიშალე

მე ქარიშხალში მოგონებებად დავიშალე,
წვიმის წვეთებით ცრემლის მორევში ჩავიღვარე.
გულის იარა თეთრი ფიფქებით დავიფარე,
ღამის სიჩუმეს ჩემი ტკივილი ვუზიარე!

ჩუმი სიმღერით სავალ ბილიკზე დავიღამე.
მთვარიან ღამეს სულის ტკივილი დავიამე,
ქარაფებიდან ცისკენ გავფრინდი, გავიშალე,
და კაბადონზე, მზის ათინათში ჩავიშალე!

თმაგაშლილ ჩანჩქერს გიჟი ქალივით ჩავეხუტე,
აბობოქრებულ მდინარეში ჩავიმალე,
მერე გაზაფხულს მწვანე რტოებად ჩავექარგე,
და ყვავილებში ათასფერებად დავიკარგე!

გულის იარა თეთრი ფიფქებით დავიფარე,
ჩუმი სიმღერით სავალ ბილიკზე დავიღამე,
ღამის სიჩუმეს მოგონებები ვუზიარე,
მერე? გავფრინდი, მზის ათინათში ჩავიკარგე!

*2022 წ.14.01.*



## უსასრულო ლაჟვარდები

ის დრო მენატრება ერთად ცას რომ შევყურებდით,
ვარსკვლავთა ცვენით აღტკინებულს სულს რომ მითბობდი,
ღამიან ქუჩას მთვარე ჩვენთვის რომ ანათებდა,
გულის ძგერა კი სიჩუმეში ჩვენ ორს გვესმოდა.
გახსოვს, ალიონს, მზის ამოსვლას როგორ ვხვდებოდით,
ვარდისფერი ცის სიყვარულში როგორ ვდნებოდით,
მერე მზის სხივებს იტაცებდი, თმებში მიწნავდი
და უსასრულო ლაჟვარდებში ვიკარგებოდით.
გახსოვს, ზღვის გულში მზე წითლად რომ იძირებოდა,
მის სხივების ანარეკლი ტალღებს მოქონდა,
ისე ლამაზად რამდებოდა... გული თბებოდა,
მზე კი ნელ-ნელა ზღვის სიღრმეში იკარგებოდა.
ახლა მივყვები შემოდგომას ყვითელი გზებით,
ჩამოყრილ ფოთლებს აშრიალებს ნიავი ღამით,
ის მენატრება, მთვარე ჩვენთვის რომ ანათებდა
და ალიონი მზის ამოსვლას რომ გვახარებდა.
ვარსკვლავთა ცვენით აღტკინებულს სულს რომ მითბობდი,
გამთენიისას მზის სხივებს რომ თმებში მიწნავდი,
ვარდისფერ ზეცას სიყვარულში რომ ვუტყდებოდით
და უსასრულო ლაჟვარდებში ვიკარგებოდით.
ისე ლამაზად ღამდებოდა გული თბებოდა,
მზე კი ნელ-ნელა ცის სიღრმეში იკარგებოდა...

*28.06.2022.წ.*

## მე კი მზის სხივების მეხარბება

ჩემი მონატრება ცამდე აზიდულა,
გული მოგონებებს ექარგება,
ვიცი ზეცას ათბობს სიყვარული,
მე კი მზის სხივების მეხარბება.

ლაღად რომ გადაკვეთს ზეცას ცისარტყელა,
ცემი სიყვარული სწორედ მის ფერია,
წვიმა წამოსული ცის გულიდან,
ესეც მონატრების ცრემლებია.

ცაზე ათინათი სხივებს ქარგავს,
ზეცა ყვავილებით მორთულია,
ვიცი ცამდე ასულ სიყვარულში
ღმერთო შენი ხელი ურევია.
ახლა ზარებს რეკავს ალიონი,
გული საგულედან გასულია,
ცაზე ვარდისფერი კაბადონი,
ჩემი სიყვარულის მეგზურია.
ჰოდა მონატრება ცამდე აზიდულა,,
გული მოგონებებს ექარგება,
ვიცი ზეცას ათბობს სიყვარული,
მე კი მზის სხივების მეხარბება.

*20.04.2022 წ.*



## ქალი

ქალი ისეთი ვნებაა, თავგზას რომ აგაბნევინებს.
ქალი სუროა ხვეული, სულს რომ არ მოგათქმევინებს.
ქალი ქარია ისეთი, კაცს რომ გონს დააკარგვინებს,
ქალი წყაროა გიჟმაჟი, წყურვილს რომ მოგაკვლევინებს,
ქალი სითბო და სხივია, წვიმაა, მზეა, ქარია,
ქალს მოუფრთხილდით კაცებო, ქალი ხომ მაინც ქალია!

*2018 წ.*

## მზე

მზეო, სიცოცხლის, სიყვარულს ვბედავ,
შენი სხივებით სინათლეს ვხედავ.
იქნებ გააპო ღრუბელი ლეგა,
ისევ აანთო იმედად ზეცა!
დილით, ალიონს ვარდისფრად ღებავ,
წვიმის წვეთებში ათასფრად გხედავ.
მზეო, სიყვარულს ასხივებ ყველას,
ირგვლივ სამყარო კვლავ იწყებს მღერას.
მინდვრად ეშვები ციურ სხივებად,
ნამიან თვალებს უკოცნი ზეცას,
გაბზარულ გულში სითბოდ იღვრები,
მზეო, სიცოცხლის სიყვარულს ვბედავ.
რა ვქნა, სიცოცხლეს, სიყვარულს ვბედავ,
მენატრები და სხივებად გხედავ.
იქნებ გააპო ღრუბელი ლეგა,
ისევ აანთო იმედად ზეცა.
დანისლულ გულში ფიქრებად გხედავ,
მენატრები და სიცოცხლეს ვბედავ.
ნამიან თვალებს ვუკოცნი ზეცას,
შენი სხივებით სინათლეს ვხედავ.
მზეო ამოდი, ანათე ზეცა,
შენ ხომ სიყვარულს ასხივებ ყველას.
ირგვლივ სამყარო კვლავ იწყებს მღერას,
მზეო, სიცოცხლეს, სიყვარულს ვბედავ!

*2020 წ. 09.09.*



## მზის სხივებით მოვიხიბლე უცნაურად

თითქოს ჩუმად შევერიე ღრუბლის ქულას,
მის წიაღში დავიკარგე უნებურად,
მზემ სხივები მომახვია სასწაულად,
მოვიხიბლე, მოვინუსხე უცნაურად.

დილის ნისლში გახვეულან მთები უხმოდ,
ზორბა მხრები გაუშლიათ ხარბად მზისთვის,
ალიონის შესახვედრად გამზადებულთ,
სიყვარულის ახსნა უნდათ ალბათ მზისთვის!

გულში იკრავს ცის სილურჯეს მზისაფარი,
კაბადონსაც შერევია ვარდისფერი,
მზის სხივებით ავსებულა ზეცა მწველი,
დილის ნამით დაცვარულა მინდორ-ველი.

მზის სხივებში გავეხვიე უცნაურად,
ღრუბლის ქულას ჩავეხუტე უნებურად,
ზორბა მხრებით გადაშლილი მთების გულში,
დავინახე ალიონი სასწაულად.

დავინახე თეთრთმიანი მყინვარწვერი,
გაშლილ თმებში რომ ჩაღვრია ლაჟვარდები,
მზის სხივებით გავსებია გული მწველი,
ცის სილურჯეს ჩახვევია მზის საფერი.

თითქოს ჩუმად შევერიე ღრუბლის ქულას,
მის წიაღში დავიკარგე უნებურად,
მზემ სხივები მომახვია სასწაულად,
მოვიხიბლე, მოვინუსხე უცნაურად.

*18.06.2022 წ.*

## ლილეო

ცამდე აზიდულან მზისკენ მზირალნი,
მთიდან გადმომდგარნი ამაყი კოშკები,
ცა ქუდად დაუხურავთ, წარბები მოუჭიმავთ,
გოროზად დაგვყურებენ ვაჟკაცი სვანები!
სვანეთის დედოფალი, თეთრი თეთნულდი,
შხარას და უშბას ზემოდან დასცქერის,
„ლილეოს“ შეძახილით იპყრობენ მწვერვალებს,
ისმის სიმღერები ამაყი სვანების!
დალის ხეობაში ჯიხვები ბინადრობენ,
ქარაფზე დახტიან, არას დაგიდევენ,
არწივთა საბუდარში მართვები იზრდებიან,
ცის კამარაზე ლაღად რომ დაფრინავენ!
სვანური კოშკის ძირში ჭიანურს უკრავენ,
ჩანგზე ამღერებენ ჭაღარა სვანები,
„დედეშ მირანგულას“ გულიდან მღერიან
და მათი სიმღერებით ტირიან ქალები.
ვაჟკაცთა სამოსახლო, კოშკების სამეფო,
მყინვართა დამპყრობელ ვეფხვების სამშობლოვ,
მინდა, რომ იდღეგრძელო, მინდა, რომ იმრავლო,
მზის შვილთა გამზრდელო, მინდა რომ იხარო!
ცამდე აზიდულან მზისკენ მზირალნი,
მთიდან გადმომდგარი ამაყი კოშკები,
ცა ქუდად დაუხურავთ, წარბები მოუჭიმავთ,
გოროზად დაგვყურებენ ვაჟკაცი სვანები!

*2020.05.07.*



* * *

შორიდან ისმის მელოდია...
უკრავენ შოპენს!
და თითქოს ზეცაც გარინდული
უსმენს!
გული სინაზით ივსება,
თბება...
ცრემლი თვალიდან წამოსული
ლღვება...
წვიმის წვეთები მიწას ეკრობა
ქრება!
და სიყვარული გულში შემოდის
რჩება...
შორიდან ისმის მელოდია...
უკრავენ შოპენს!

*2020 წ.*

## საათი წუთებს ითვლის...

მზე თითქოს დარდმა შეიპყრო,
ნისლი გამეფდა ირგვლივ.
წვიმა ცრის, ქარი ბობოქრობს,
საათი წუთებს ითვლის...

დრო მიქრის, დრო არ ჩერდება,
შავ-თეთრი მეფობს ფიქრი.
სამყარო ჩუმად დუდუნებს,
საათი წუთებს ითვლის...

სევდის ფერია ბუნება,
წვიმის ფერია ნისლი.
ქარი ქრის, ქარი ბობოქრობს,
საათი წუთებს ითვლის...

ღამე უმთვარო, უსხივო,
ირგვლივ სევდა და ფიქრი.
დრო მიქრის, დრო არ ჩერდება,
საათი წუთებს ითვლის...

*2020 წ.*



## მე გაზაფხულის ქალი ვარ...

მე გაზაფხულის ქალი ვარ.
და მიტომ ვეტრფი აპრილს.
მე ყვავილი ვარ ატმისა
და ხასიათი მარტის!

ყვავილი ბროწეულისა
ყაყაჩოების ფერი,
იასამანის სურნელი
და სიყვარული მწველი!

მე სიმღერა ვარ, ქნარი ვარ
ამღერებული გულის.
ლურჯი ტალღების ფერი ვარ
და სილაჟვარდე ზეცის!

ია-ვარდების კონა ვარ
და მზის სხივი ვარ ცისა,
ამიტომ ვეტრფი გაზაფხულს,
ქალი აპრილის თვისა!

*2020 წ.*

## ლურჯი აპრილი

რამდენი დღეა ჩემი სარკმლიდან
ფიქრმორეული გავცქერი აპრილს,
გარეთ ყვავილთა თეთრი თოვაა,
მაგრამ აპრილი აღარ გავს აპრილს.
მინდა რომ ფიქრი სევდამომდგარი
სარკმლის მიღმიდან წაიღოს ქარმა,
და ეს აპრილი მწუხარე სახით
მალე შეცვალოს მაისის დარმა.
ამ ქარიშხალმა გადაიაროს,
მეც მოვშორდები სარკმელს ფიქრიანს,
აპრილმა ისევ იაპრილოს და
ააბრიალოს ცეცხლი ყვავილთა.
და მაშინ გული გახეთქავს მარწუხს,
და სული ისევ სილაღით იფრენს,
იმედის სხივი გაათბობს ზეცას
და ცის ლაჟვარდში ტოროლა იფრენს.
ქარი წაიღებს სევდიან ფიქრებს,
ააბრიალებს სურნელს აპრილი,
ისევ იქნება ყვავილთა თოვა,
ისევ იმეფებს ლურჯი აპრილი!

*2020 წ.08.04.*



## შემობრიალდა აპრილი

შემობრიალდა აპრილი,
საკინძეს შეხსნა ღილი,
სისხლი მოჭიმა ძარღვში და
მზეს აუდუღა სული.
ო, როგორ მიყვარს აპრილი,
აყვავებული ნუში,
ისე ლამაზად ფერადობს,
ლამის გამისკდეს გული.
მზე გაირინდა მინდორში,
სხივმა ანათა ზეცა,
ლურჯი აპრილის ზღაპარი
ზმანებად გადამექცა.
ისე დამატკბო ოხერმა,
ისე აძგერა გული,
ცრემლები წამსკდა საბრალოს,
სულ შემირყია სული!
არადა, მიყვარს აპრილი,
მიყვარს ყვავილთა თოვა.
ცისკენ წასული სურნელი
სასწაულივით როა.
წლები მიდის და დღეები
გაზაფხულს თან მიჰყვება,
ლურჯი აპრილი სიმღერით,
სასწაულ ამბებს ყვება.

*01.04.2022 წ.*

## სიცივე ატანს სულის კედლებში...

განაცრისფრებულ დღეების ფერი
დაედო სახეს, მწუხრივით ფერმკრთალს.
თავაშვებული ღმუილი ქარის
სულში გაჩენილ ნაპრალებს ხეთქავს
გაავებული, კივილით დაქრის,
გავეშებული მიწას ეხლება
და მოქუფრული, გაშავებული,
კუპიდონივით ცაზე იშლება.
შეშინებული გული ფართხალებს,
თითქოს მუჭიდან უნდა დაძვრომა,
ქარი კი ისევ დაუნდობელად,
მოგონებებში იწყებს ჩაძვრომას.
სიცივე ატანს სულის კედლებში,
წვიმა ყვავილებს ცრემლად ედება.
ქარი კი მწვანედ შემოსილ ხეებს,
დაუფარავად ურცხვად ეხვევა.
არ მალავს ვნებას გავეშებული,
გაავებული მიწას ეხლება,
არად დაგიდევს სულის ჭრილობას,
ცივი ხელებით გულზე ეხვევა.
განაცრისფრებულ დღეების ფერი
დაედო სახეს, მწუხრივით ფერმკრთალს.
თავაშვებული ღმუილი ქარის,
სულში გაჩენილ ნაპრალებს ხეთქავს.

*08.05.2022 წ.*



## ფიქრების ჩერო

შემოუქროლა ქარიშხალმა ფიქრების ჩეროს,
გული საგულეს ამოგლიჯა, წაიღო ჩემო...
როგორც ფესვიდან ამოგლეჯილ, დაფლეთილ ხეებს,
მტკივნეულ სულში გზა გაუხსნა ამღვრეულ მორევს!
ლამის ღრუბელიც ჩამოგლიჯოს, ჩამოხსნას ციდან,
მზის სხივებიც კი გადამალა ქარბუქმა გიჟმა,
კუდიანივით, გაგიჟებით დაქრის და ღმუის,
ყვავილთა თოვას, ქარიშხალი შიშის ზარს უვლის!
მიტოვებული გაზაფხული მზის სხივებს ელის,
გამოდარების მოლოდინში ელევა სული,
ყვავილთა ქროლვას ვერ აჩერებს ველური ქარი,
ხან ცას ასკდება, ხან კი მიწას, ვნებებით მთვრალი.
მარტო ვდგევარ და აყვავებულ ხეებს შევყურებ,
არვიცი ამდროს რა დავარქვა უცნაურ გრძნობებს,
ქარიშხლის სუსხი ძვალში ატანს, სიცივე მზაფრავს,
გული საგულეს მოგლეჯილი, ფეთქავს და ბორგავს!
გარეთ, ფესვიდან ამოგლეჯილ, დაფლეთილ ხეებს,
მტკივნეულ სულში უფათურებს გრიგალი ხელებს,
გაგიჟებული ქარიშხალი დაქრის და ღმუის,
ყვავილთა თოვას ქარიშხალი, შიშის ზარს უვლის!
შემოუქროლა ცივმა ქარმა ფიქრების ჩეროს,
გული საგულეს ამოგლიჯა, წაიღო ჩემო...
როგორც ფესვიდან ამოგლეჯილ, დაფლეთილ ხეებს,
მტკივნეულ სულში გზა გაუხსნა ამღვრეულ მორევს

*13.04.2022 წ.*

## ხალხური მოტივები

სიხარულისა იმედო,
სიყვარულისა მზერაო,
ზეცად ასულო სურვილო
გაშმაგებულო მზერაო.
ყაყაჩოსაებრ წითელო
„შენთანამც ყოფნით გამაძრო,
შენთანამც ხვევნა კოცნითა.“
ზეცას შევთხოვე დაუშვას
სარკმელი ბინდის ფერისა.
ჩუმად რომ შემოგეპარო,
დავტკბე შენისა ცქერითა.
ვარსკვლავო გზა გამინათე,
წვიმავ დაუშვი ფარდაო,
ქარო გადაჰყარ ღრუბელი,
მთვარევ გამიძეხ წინაო.
შენ ჩემო სულის ძახილო,
შენ ჩემო გულის ძგერაო,
ყაყაჩოსაებრ წითელო
მზეო მასწავლე ფრენაო!

*2020.წ. 05.03.*



სწორედ ისეთი შემოდგომაა,
ბროწეულებს რომ
დახეთქავს ხეზე

## სიტურფე დილის

მზემ ღრუბლებიდან თავი მარიდა,
ზეცას ჩაეკრა თვალებხატულა,
სევდამ გაგლიჯა გულის ფიცარი
და მონატრებამ თავი მაჩუქა.
წვიმის წვეთების ცელქმა წკაპუნმა
ფიქრების ტალღას გადაუარა,
წარსულმა თავი ისევ მახსენა,
მიმქრალ მზერაში დაისადგურა.
ლაჟვარდს გაეკრა სიტურფე დილის,
სულის სიმები აახმოვანა,
დანამულ თვალებს მოწყვიტა ცრემლი
და მონატრება გამოატანა.
მზე ისევ ღრუბელს ამოეფარა,
სახეს მარიდებს თვალებხატულა,
სიომ ზეციდან ჩამოქროლილმა
კვლავ უშენობა გამოიყოლა.
ლაჟვარდს გაეკრა სიტურფე დილის,
სულის სიმები აახმოვანა.

*10.06. 2022 წ.*

## ფიქრიანი ზამთარი

ზღვის ტალღებივით ეხეთქება ტკივილი მიწას,
ცაში ირაოს არ აკეთებს არწივი ლაღი,
გოროზი მთები გახვეულან თოვლსა და ნისლში
და სიჩუმეში ღრიალს იწყებს მდინარე შლეგი,

სუსხიან დილას გაუყინავს ცრემლები თვალზე,
მზის სხივის სითბო ვერ ერევა ფიქრიან ზამთარს,
ირგვლივ ყოველი გახვეულა ბურუსში ისე,
თითქოს ზეციდან ჩამოეშვათ ნისლების ფარდა.

მყინვარის წვერი მაინც ისხლეტს ათინათს მზისას,
სუსხი და ყინვა გზებზე ისევ ფიანდაზს ქარგავს,
აღმართს მივყვები და ვიცი რომ ფეხდაფეხ მომდევს,
ზღვის ტალღებივით ბობოქარი ფიქრების ტალღა.

სიცივის სუნი ქუჩებს ეკვრის,ქირქილებს ჩუმად,
მზის სხივის სითბო ვერ ერევა ფიქრიან ზამთარს,
ქარი და ყინვა ისევ ისე ბოგინობს გარეთ,
გაშმაგებული ეხეთქება ჩაკეტილ კარებს.

ზღვის ტალღებივით ეხეთქება ტკივილი მიწას,
ცაში ირაოს არაკეთებს არწივი ლაღი,
გოროზი მთები გახვეულან თოვლსა და ნისლში
და სიჩუმეში ღრიალს იწყებს მდინარე შლეგი.

*08.01.2021 წ.*



## ცისკრის დედოფალი

თოვლიან მყინვარს ჩაეხვია ბურუსი დილის,
ცისფერ ალიონს მიულოცა მზემ გათენება,
მერე ზეცაზე გადაშალა ყვითელი თმები
და დაანახა თეთრ უფლისწულს მთელი მშვენება.

ათინათებად ასხლეტილი სხივების გუნდი,
მყინვარწვერიდან ცის ლაჟვარდებს ეთამაშება,
მხრებში იშლება,სიამაყით ევსება გული,
რადგან თავად მზე, სიყვარულით თბილად ეხება.

მაყრიონივით მიჰყვებიან თეთრი ღრუბლები,
თოვლიან მყინვარს შარავანდი ადგას გვირგვინად,
ცისკრის დედოფალს გაუშლია ყვითელი თმები
და ჩახვევია თეთრ უფლისწულს ათასფერებად.

ათინათებად ასხლეტილი სხივების გუნდი,
მყინვარწვერიდან ცის ლაჟვარდებს ეთამაშება,
მზემ, ალიონის დედოფალმა იფეთქა ცაზე,
რადგან მყინვარის სიდიადემ გული მოსტაცა.

*14.05.2022 წ.*

## თეთრი ზამთარი

ჩამოიქროლა თეთრმა ზამთარმა
ცამდე გაშლილი ქათქათა თმებით.
ფანჯრის მინები დასუსხა ქარმა,
ყინვამ მძივებად აქცია ცრემლი.
ვარსკვლავთა ციმციმს ირეკლავს თოვლი,
და ისევ ყვება ზამთარი ზღაპარს,
ფანჯრის მინები დასუსხა ქარმა
გარეთ კი ყინვა ლოლუებს ქარგავს.
მთვარე ანათებს იისფერ ღამეს,
ფიფქების ცეკვას გული თან მიაქვს,
ცამდე გაშლილი ქათქათა თმები
მოგონებებში იწყებენ ტრიალს.
ლურჯად მოხატულ ღამის სითეთრეს
ყინვის ჭახჭახი გაუდის ხმაში.
და ზამთრის ღამე ფიფქებთან ერთად
უწყალოდ მაყრის თეთრ ნამქერს თმაში.
ვარსკვლავთა ციმციმს ირეკლავს თოვლი,
თეთრი ზამთარი კვლავ ყვება ზღაპარს,
ნისლში იხვევა სილურჯე ღამის,
თოვლის ფიფქები გვირილებს ხატავს.
ჩამოიქროლა თეთრმა ზამთარმა
ცამდე გაშლილი ქათქათა თმებით.
ფანჯრის მინები დასუსხა ქარმა,
ყინვამ მძივებად აქცია ცრემლი.

*2022 წ.25.01.*



## იანვრის ქარი

სუსხიან ღამეს ჩაეხვია იანვრის ქარი,
მოჭიმულ ძარღვებს დაუხეთქა სიმები ლამის,
ზამთრის დედოფალს გამოგლიჯა ყინულის ქნარი,
მოჭირხლულ ხეებს დაუკოცნა შიშველი ტანი.

თეთრი გვირგვინით ლოლუები სხივებად შეკრა,
თოვლის ფიფქები ფერიებად ხეებზე შესვა,
სუსხიან ღამეს სიხარულის ყიჟინა დასცა,
დაბურულ ციდან მთვარის შუქი ხეებში ჩასვა.

დახლეჩილ ხელებს დაუფინა ფიფქები გულად,
ღამის ბურუსში შეაღწია სხეულში სრულად.
გაყინულ გულში აამღერა სიგიჟე ღამის,
მოჭიმულ ძარღვებს დაუხეთქა სიმები ლამის!

შემოაფარა ლოლუების მბზინავი შალი,
მოჭირხლულ ხეებს დაუკოცნა შიშველი ტანი,
ზამთრის დედოფალს გამოგლიჯა ყინულის ქნარი,
სუსხიან ღამეს ჩაიფერფლა იანვრის ქარი.

*2022 წ. 04.01.*

## თებერვლის ღამე

თებერვლის ცივი ღამეა,
ქარი ღრიალით დაქრის.
კარს ეხეთქება გიჟივით,
ფანჯრებს ზანზარი გასდით.
ზმუილით დაქრის ქუჩებში,
მტვერს ატრიალებს ცაში.
ხმაურით მიქრის ზეცისკენ,
ღრუბელსაც იწნავს თმაში.
დათოვლილ მთებზე ნავარდობს,
ფიფქებსაც აბნევს გზაში,
ისე გაჰკივის ოხერი,
სისხლს გაგიყინავს ძარღვში.
ისეთი ცივი ღამეა
ყინვასაც გული მისდის,
ქარი კი ისე ღრიალებს
ღამეს ცახცახი გასდის.
მაინც არ იშლის თავისას,
დაქრის აღმა და დაღმა,
აბუზულ ხეებს დაჰკივის
თითქოს სიგიჟემ დაკრა.
ზმუილით დაქრის ქუჩებში,
მტვერს ატრიალებს ცაში.
ისეთი ცივი ღამეა,
სისხლს გაგიყინავს ძარღვში!

*2022 წ. 06.02.*



* * *

ზეცავ გააღე დანისლული ზეცის კარები,
დატყვევებული მზის სხივები გააცისკროვნე.
სულის სიღრმეში ათამაშე მზის ათინათი,
ნისლისფერი ცა ვარდისფერად აკაბადონე.

შავი ღრუბელი გადაჰყარე ზურმუხტის ზეცას,
გაძარცვულ ხეებს დააპკურე ციური ნამი,
და ლურჯი ზეცა ნისლისფერად გადაფარული
გამოანათე კაბადონზე მზიური სხივით.

თოვლსა და წვიმას ფერხული აქვთ ჩაბმული ერთად,
დატყვევებული მზის სხივები სულ არ ადარდებთ,
დანისლულ ზეცას უნანავებს შავი ღრუბელი
და ცივი ქარი ეხეთქება ბებერ ქარაფებს.

გაყინულ მიწას ეფინება ფიფქები გულზე,
ხან წვიმის წვეთი ეკიდება ხეებს ნამიანს,
ნისლისფერ ზეცას უნანავებს შავი ღრუბელი
და მზის სხივებზე სადარდებლად აღარ სცალიათ.

ზეცავ გააღე დანისლული ზეცის კარები,
დატყვევებული მზის სხივები გააცისკროვნე.
სულის სიღრმეში ათამაშე მზის ათინათი
ნისლისფერი ცა ვარდისფერად აკაბადონე.

*2022 წ. 26.01.*

## გაზაფხული მთაში

დათოვლილ მთებზე გაწოლილა ბურუსი ღამის,
თეთრი ფიფქი კი ნაზი ქროლვით ზეციდან მოდის.
ღამის დედოფლებს მოუქარგავთ მიდამო თეთრად,
ყოჩივარდების სურნელებით ხარობენ ერთად.
თეთრი ღამეა,გარეთ თოვლი,ნისლი,ფიქრია.
დათოვლილ ტყეში ფანტელები ცეკვით მოქრიან,
ნაძვის ტოტებში ბელურები იყუჟებიან
და ენძელები თეთრ მიწაზე იქრგებიან.
აქ,მთაში მძაფრად ვერ შეიგრძნობ სურნელს იისას,
ჯერ ისევ ფიფქი უნანავებს ნიავს დილისას.
გვიან გაზაფხულს როს დადნება თოვლი და სიო
რომ შემოისვრის სურნელებას სველი მიწისას,
მაშინ დაიწყებს გაგიჟებას მიწა ზეცისას
და მერე, მთებზე გადატყორცნის ფერებს მზე, ცისას.
ახლა ღამეა, ჯერ კიდევ მთებზე გაწოლილა ბურუსი თეთრი,
ფიფქები ცვივა,ყოჩივარდებს შეცვლიათ ფერი,
დათოვლილ ტყეში ფანტელები ზღაპრებს ყვებიან
და ენძელები თეთრი თოვლით იფარებიან.
აქ,მთაში მძაფრად ვერ შეიგრძნობ სურნელს იისას,
ჯერ ისევ ფიფქი უნანავებს ნიავს დილისას,
გვიან გაზაფხულს,როს დადნება თოვლი და სიო
რომ შემოისვრის სურნელებას სველი მიწისას,
მაშინ დაიწყებს გაგიჟებას მიწა ზეცისას
და მერე ,მთებზე გადატყორცნის ფერებს მზე, ცისას.

*09.03.2022 წ.*



## ათოვს და ათოვს ატმის ყვავილებს...

აღარ ეთმობა ზამთარს სიცივე,
ყვავილთა თოვას ფიფქი არჩია.
გადარეული გიჟი მარტი კი
თეთრი ფიფქების ნისლში გახვია.
გადამსკდარ კვირტებს,ატმის ყვავილებს,
ათოვს და ათოვს თეთრად ფიფქები,
ცა ნაცრისფერად გადაცრეცილა,
შემოსევია ჩუმი ფიქრები.
მზე დაკარგვია თითქოს გაზაფხულს,
გარეთ თოვლი და თეთრი ფერია.
ატმის რტოები ფიფქით მორთული,
გულში გაზაფხულს ემღერებიან.
ციდან კი ცვივა ისევ ფანტელი,
იაიები თოვლში ქრებიან.
გაკვირტულ ხეებს თოვლის ფიფქები,
ყვავილებივით ექარგებიან.
აღარ ეთმობა ზამთარს სიცივე,
შემოსევია ჩუმი ფიქრები,
ცა ნაცრისფერად გადაცრეცილა,
გაზაფხულს ათოვს თეთრი ფიფქები!

*2022 წ.*

## გაზაფხული

ცისფერი ზეცა გადაკვეთა მზის სიკაშკაშემ,
კვირტში ჩამჯდარი გაზაფხული გაავარდისფრა,
ტყემლის ყვავილებს ჩამოუდნო თოვლის საფარი
და სასწაული სურნელებით გამოაფხიზლა.
ყვავილთა თოვა გაახვია სხივთა ალმურში,
ატმის რტოები თავდახრილი ზეცად ასწია.
ლურჯი იებით მოუქარგა მიწას მინდორი
და სადედოფლო ტახტრევანად გადააქცია.
გადამსკდარ კვირტებს ეწვეთება დამდნარი თოვლი,
ატმის რტოები მზის სხივებში ხარბად ყვავილობს,
აყვავებული გაზაფხული ისევ ამღერდა,
კვირტთა ფეთქების სილამაზით მართლა ხალისობს.
ცისფერი ზეცა გადაკვეთა მზის სიკაშკაშემ,
დადუმებული გაზაფხული გაავარდისფრა,
თოვლის საფარი ჩამოუდნო,გაშალა მხრებში
და სასწაული სურნელებით გამოაფხიზლა.

*2022 წ. 26 .03.*



## თეთრი მაისი

აპრილი უკვე საათებს ითვლის,
და ქარის ეტლით მოქრის მაისი.
მზის სხივი თავზე შარავანდს ადგამს,
ყვავილებს უფენს გზებზე აისი.
მოდის მაისი სიყვარულის თვე,
თეთრი მაისი ვარდების თოვა,
აფეთქებული იასამნების
და ყვავილების სურნელთა ქროლვა.
მოდის მაისი და გაზაფხული
მინდვრის ყვავილთა გვირგვინით ხვდება,
ციდან ეშვება მზის ტახტრევანი,
თეთრი მაისის ლოდინით ტკბება.
მოდის მაისი ვარდების თოვა,
ვარდობის თვე და ყვავილთა თრობა,
შხაპუნა წვიმა,სურნელი მიწის,
მზესთან თამაში მაისის წვიმის.
მოდის მაისი სიყვარულის თვე,
თეთრი მაისი ვარდების თოვა
და ქარის ეტლით მობრძანებული,
ვარდობის თვე და ყვავილთა თრობა.

*2020 წ. 22.04.*

## ყაყაჩოები

ვარდობისთვეში განა მარტო ვარდი მაისობს,
ყაყაჩოს ველსაც გადახედე როგორ დარისობს.
როგორ ლივლივებს,შეუძლია გული გარინდოს,
ქარიც ეკრზალვის,ეშინია რამე არ ივნოს.

ტოლს არვის უდებს წითელკაბა მინდვრის ასული,
ყვავილთა შორის სინატიფით გამორჩეული,
მზის სხივებს ეტრფის,ეშმაკურად ,ჩუმად ქირქილებს,
ხანძარს იკიდებს დალოცვილი,ისე ლივლივებს.

ეს წითელკაბა მეტიჩარა როგორ მაისობს,
კისერს იღერებს ველ-მინდვრებში ისე ხალისობს,
მის შემხედვარეს ვარდობისთვე სენად გამხდია,
ეს ხატულა კი მზის სხივებში ისევ ანთია.

მინდორში უკვე მაისის მზე წითლად დაისობს,
ყაყაჩოებისს სილამაზე მასაც არ ინდობს,
ხანძარს უკიდებს,გულში მართლა ცეცხლი უნთია
ის კი სხივებში დაუნდობლად წითლად ანთია.

ისე ლივლივებს,შუძლია გული გარინდოს,
ქარიც ეკრძალვის ,ეშინია რამე არ ივნოს,
კისერს იღერებს ველ-მინდვრებში როგორ ხალისობს,
ვარდობისთვეში ვარდი მარტო აღარ მაისობს.

*22 .05. 2022 წ*



## ტირიფი

გამიგონია ტირიფის ხეს გული აქვს მკვდარი,
დახრილ ტოტებში წვიმის წვეთი ცრემლად ეღვრება,
დამსკდარ მიწაზე ჩამოღვრილი ჩუმად დუდუნებს
და თავდახრილი სიყვარულზე ეჩურჩულება.
თმაჩამოშლილი,ნაღვლიანი,ნაზი ქალივით,
ლამაზი რხევით ეფერება დილას ნამიანს,
წვიმის წვეთები მის სულშიაც იდებენ ბინას
და ქარიშხალი ერიდება ტირიფს დარდიანს.
მიწიდან ისე ამოხეთქა ღრიალით წყალმა,
წვიმა ცრემლებად დაედინა ტირიფს მტირალას,
მერე ტოტებზე სასოებით მოხვია ხელი
და თავდახრილი ლამაზმანი გაამღიმვარა.
იქნებ მზის სითბომ დაუამოს ტკივილი გულის,
ცრემლის წვეთები ამოუშროს დაღლილ თვალიდან,
დალალებივით ჩამოყრილი ლამაზი თმები,
აუშრიალოს მონაქროლმა ქარმა მთებიდან.
ანდა ქარიშხალს გაატანოს გულის ნადები,
ლამაზი რხევით მოეფეროს დილას ნამიანს,
თმაჩამოშლილმა,ნაღვლიანმა,ნაზი ქალივით
აუციმციმოს ვარსკვლავები თვალებს ღამიანს.
გამიგონია ტირიფის ხეს გული აქვს მკვდარი,
დახრილ ტოტებში წვიმის წვეთი ცრემლად ეღვრება,
დამსკდარ მიწაზე ჩამოღვრილი ჩუმად დუდუნებს
და თავდახრილი სიყვარულზე ეჩურჩულება.

*09.06.2022 წ.*

## ვარდობისთვე

ქარი რომ დაქრის ,ბობოქრობს,
ნეტავ რა ხდება ცაო?!
წვიმა რომ მოდის,მზე არ ჩანს,
ნეტავ ღრუბელო რაო?!
უმთვარო ღამე რომ დგება,
ნეტავი ზეცავ რაო?!
გული საგულეს რომ არ დგას,
ნეტავ რა ხდება რაო?!
ვარსკვლავი ცაზე გამოჩნდა,
ნეტავი მთვარევ რაო?!
ქარმა ღრუბელი გაყარა,
ნეტავ რა ხდება რაო?!
ხვალ კარგი დარი დადგება,
მითხარი ზეცავ რაო?!
მზე ღრუბელს ჩამოიტოვებს,
გამოიდარებს ცაო?!
სხივები მიწას გაათბობს,
მერე მოხდება რაო?!
ვარდობისთვე რომ შემოსულა.
მეტი რა გინდა რაო!

*2020 წ. 07.05.*



## ვარდი

აყვავებული ვარდის სიტურფეს
ცის თვალებიდან მზე სხივებს აფრქვევს.
თავბრუდამხვევი სურნელის ტალღა
მის მოტრფიალეს მიჯნურად აქცევს.
წითლად მოურთავს ნაქარგი კაბა,
ირგვლივ ყველაზე მშვენიერია,
მისი შემყურე სურნელით თვრები,
ულამაზესი დედოფალია.
ცის თვალებიდან მზე სხივებს აფრქვევს,
გაშლილ მინდორში ლაღად ეშვება,
ვარდის სურნელი იფრქვევა ქარში,
სუნთქვაშეკრული მზე თან მიჰყვება.
ცის თვალებიდან გადმოღვრილ სხივებს,
სიო ჩურჩულით ებაასება,
მაგრამ სიტურფით გაოგნებული
თავბრუდამზვევი ვარდის ტყვე ხდება.
მისი შემყურე სურნელით თვრები,
ირგვლივ ყველაზე მშვენიერია,
წითლად მოურთავს ნაქარგი კაბა,
ულამაზესი დედოფალია.
აყვავებული ვარდის სიტურფეს
ცის თვალებიდან მზე სხივებს აფრქვევს.
თავბრუდამხვევი სურნელის ტალღა
მის მოტრფიალეს მიჯნურად აქცევს.

*28. 05. 2022*

## ზაფხულის ღამე

მოგონებებით ავსებულა სიმშვიდე ღამის,
ვარსკვლავიან ცას თან დაჰყვება ნათელი მთვარის.
ფიქრები ისე მომეძალა, გავგიჟდე ლამის,
ციცინათელა გულს მინათებს, ციმციმებს ღამით.
ვარსკვლავიან ცის სილამაზეს ნებდება ღამე
და სუროსავით ჩახვევია ფიქრები მთვარეს.
ზაფხულის ღამეს ვარსკვლავები ნათელით რთავენ,
რომანსებს უმღერს მოგონება ამაღამ ღამეს.
ფიქრებმა ისევ გაანათა სარკმელი ღამის
და ვარსკვლავებმა გზა დაუთმეს ოცნებას მთვარის,
ციცინათელა აფარფატდა, ფრთები გაშალა,
ფიქრის მორევმა სიმყუდროვე უცებ დაშალა.
ვარსკვლავიან ცას თან დაჰყვება სინათლე მთვარის,
სურო ფიქრებად ჩახვევია, დაახრჩოს ლამის,
მოგონებებით ავსებულა ყოველი წამი,
ციცინათელა დაფარფატებს ზაფხულის ღამის.

*2020 წ.12.06.*



## გადარეული ივლისი

მკათათვე უკვე კართან დგას,
საათებს ითვლის ივნისი.
ჭექა-ქუხილის ხმა ისმის,
ხმაურით მოდის ივლისი.
მოდის და სუნიც თან მოაქვს,
მცხუნვარე,ცხელი ზაფხულის,
დაღამებულა,ხმაურობს,
კარებთან მდგარი ივლისი.
თიბათვე ცრემლებს ვერ იშრობს,
მთვარეს შეჰყურებს მტირალი,
გული უშენოდ ვერ გაძლებს,
დაბეჩავდება ტიალი.
დამშვიდდი ჩემო დობილო,
მკათათვემ ჩაუჩურჩულა,
მე უკვე აქ ვარ,მოვედი,
შენი დრო უკვე გასულა.
ახლა მე ვმზეობ,ვიხარი,
შენ კი გაფრინდი დაიკო,
ცხელი ზაფხულის სურნელით
მკათათვის კარი გაიღო.
მთვარემ ინათა ღამეში,
თიბათვეს ხელი მოხვია,
ზაფხულის ცხელი ნიავი,
სახსოვრად შემოახვია.

*2020 წ.30.06.*

## მზესუმზირები

მზეს უმზირეო!მანაც თავი მზისკენ ასწია,
ყვითელ გვირგვინში გიშრის ქვები გულად ჩატია.
ლამაზი როკვა,ვნებიანი,თავს მოახვია,
ზაფხულის დილა,მზესუმზირების ფერად აქცია.

ლამაზ კაბებში სინარნარით გადაშლილები,
ყვითელი დილის მობიბინე მზესუმზირები,
ჭრელი პეპელები ნაირფერად მოხატულები,
მზესუმზირები,მზის სხივებით მოქარგულები.

ჭრელი მინდორი,ყვავილებით გადავსებული,
ლამაზ ფერებში მონარნარე,გადაშლილები,
ზაფხულის დილა,ათასფერად ამღერებული,
ყვითელ გვირგვინში ჩახვეული მზესუმზირები.

მზეს უმზირეო! მანაც თავი მზისკენ აწია,
ყვითელ გვირგვინში გიშრია ქვები გულად აქცია.
ლამაზი როკვა,ვნებიანი,თავს მოახვია,
ზაფხულის დილა,მზესუმზირის ფერად აქცია.

*2021 წ. 26.08.*



## ჭრიჭინების ღამე

მოსაღამოვდა, მზემ სარკმელთან გადაირბინა,
წამით მოავლო გამეფებულ სიჩუმეს თვალი,
მერე სხივებად ჩაეხვია გარინდულ ზეცას
და ჩაიძირა მის სიღრმეში გრძნობებით მთვრალი.

უკვე ღამეა, რახანია მზე გადავიდა,
ახლა ჩემს სარკმელს მხოლოდ მთვარე ელიცლიცება,
დაღალულ თვალებს ეფინება მისი ნათელი,
ფიქრადქცეული მოგონება ცისკენ იშლება.

ღამეა გარეთ,ჭრიჭინების ღამეა გარეთ,
ჩემს სარკმელში კი მთვარე ისევ სხივებს ირეკლავს.
ქუჩაში ფოთლებს აშრიალებს ნიავი ცელქი
და ფიქრადქცეულ მოგონებებს ზეცაში ფანტავს.

სევდაჩამდგარი თვალებიდან წლები მიღიმის
და იძირება მის სიღრმეში ოცნება დიდი,
ახლა ღამეა, ჩემს სარკმელში მთვარე ლიცლიცებს,
გარინდულ ზეცას ეფინება ნათელი მისი.

დაბინდულ მზერას სულ სხვა გზებით მივყავარ ახლა,
ნიავი არხევს, აშრიალებს ქუჩაში ფოთლებს,
ღამიან ზეცას ეფინება ნათელი მთვარის
და ამ სიჩუმეს მხოლოდ მისი ჩურჩული აღრვევს.

ეხ, რა ხანია მზემ სარკმელთან გადაირბინა,
გაუჩინარდა, ჩაეხვია უძირო ზეცას,
ახლა ღამეა, ჭრიჭინების ღამეა გარეთ
და მთვარის შუქის ანარეკლი ამ ფიქრებს ხატავს.

ნიავი არხევს, აშრიალებს ქუჩაში ფოთლებს,
ჭრიჭინობელა უდარდელად ჭრიჭინებს ყველგან,
სევდანარევი თვალებიდან წლები მიღიმის
და იძირება მის სიღრმეში ღამესთან ერთად.

*07.06.2022.წ.*



## შემოდგომის მზე!

აი, ამოვიდა, აიზვირთა სხივებად ცაზე,
გადმოაფრქვია სიყვარული სინათლით სავსე,
ათინათებად გასხივოსნდა,დაეშვა მთაზე,
და გაბატონდა, გაიშალა ცის კაბადონზე!

სინათლის სხივი ათამაშდა იმედად გულში,
ღრუბელი გაქრა, ააცეკვა ჭინკები სულში,
მზე ჩაიღვენთა ყვითელგულა ფოთლების ჩრდილში,
ააბრდღვიალა შემოდგომა საოცარ ფერში!

სიმღერის მღერით, მზის სხივები ეკვრება მიწას,
სიყვარულს აფრქვევს, ათასფერად ნათდება ზეცა,
მზე გაბადრული ჩავარდნილა იმედად გულში
და შემოდგომაც ძაფებს ართავს ფერებად სულში.

იღვრება სითბო, დღე სასწაულობს სინათლით სავსე,
ლაჟვარდი ზეცა, მზის სიყვარულს სხივებად ავსებს,
ყვითელ მზივებად ეკიდება სურვილი თვალებს,
და შემოდგომა ჩუმად ყვება საოცარ ამბებს!

მზე ამოვიდა, აიზვირთა სხივებად ცაზე,
გადმოაფრქვია სიყვარული სინათლით სავსე,
ათინათებად გასხივოსნდა,დაეშვა მთაზე,
და გაბატონდა, გაიშალა ცის კაბადონზე!

*2021 წ. 25.09.*

## ლამპიონები ანათებს ქუჩას

ლამპიონები ანათებს ქუჩებს,
ირგვლივ სიჩუმე სევდისმომგვრელი,
თბილისი იცვამს ნისლისფერ კაბას
და მტკვარს გაჰყურებს ფიქრმორეული
ქარის ზუზუნი ისმის ღამეში,
მთვარეც აღარ ჩანს,გაქრა ღრუბლებში,
მხოლოდ სიჩუმე, ღამის სიჩუმე
მარტო, ეულად დადის ქუჩაში.
ლამპიონების შუქში ჩაძირულს,
ღრუბლიდან მთვარე დაჰყურებს ქალაქს,
წვიმის წვეთები ეცემა ასფალტს
და გულისტკივილს უსიტყვოდ ატანს.
ქუჩაში ისევ მარტოობაა,
ისევ სიჩუმე, ისევ ფიქრია,
ქარი ეულად მოხეტიალე
ზეცას შეჰყურებს, ზეცას ნისლიანს.

*2020 წ.04.04.*



## დაკარგული მზე

ჭექა-ქუხილის ხმამ შეძრა ზეცა,
მთებსაც გადაწვდა გაგიჟებული,
გადაიკლაკნა მერე გველივით,
მიწას დააცხრა ცეცხლმოდებული.

ჩაშავებული ზეცის სილურჯეს
სინათლის ფერი გადაკარგვია,
შავი ღრუბელი ისე ბატონობს
თითქოს მზე ცაზე არც უნახია.

მთებზე ჩამოწვა, ჩამოინისლა,
ბურუსი სულში სულმთლად იხვევა,
წვიმის წვეთები ისე ცრის ციდან
რომ გეგონება ზეცა ირღვევა.

ცრემლიან უპეს ღრუბელი სტუმრობს,
ჩუმი ვედრება ცას უერთდება,
ჭექა-ქუხილის ხმა ისევ ისმის,
გული საგულეს აღარ ეტევა.

მთებზე გაწოლილ ნაცრიფერ ბურუსს
ცის სიკაშკაშე მოუტაცია,
ისე გრუხუნებს ზეცა მაღლიდან,
მგონი მზე მართლა დაუკარგია!

*16.06.2022 წ.*

## ფოთოლცვენის ღამე

ლურჯი ღამის სიზმრებს, მთვარე ნისლში ხვევდა,
ზეციური ხმები, იავნანას ჰგავდა.
ფოთოლცვენას უხმოდ შეჰყურებდა ქარი,
ირწეოდა ზეცა, სიყვარულით მთვრალი.

ლურჯი ღამის სიზმრებს, თვალს მოადგა რული,
ვარსკვლავების ციმციმს, უმღეროდა გული.
მთვარე როკვა-როკვით ეშვებოდა ციდან,
ფოთოლცვენის ღამეს სიყვარული ცრიდა.

ირწეოდა ზეცა,იმღეროდა ნანას,
ლურჯი ღამე ყველას ავიწყებდა ვარამს,
ნისლში გახვეულებს ჩამოყროდათ თმები,
ღამის სიზმრებს ლაღად გაეშალათ ფრთები.

ზეციური ხმები იავნანას ჰგავდა,
ირწეოდა ზეცა,იმღეროდა ნანას.
მთვარე როკვა-როკვით ეშვებოდა ციდან
ფოთოლცვენის ღამეს სიყვარული ცრიდა!

*2021 წ. 20.10.*



## წითელი მზე!

წითელი მზე შერევია ლაჟვარდს,
ზეცას ცეცხლი მოსდებია თითქოს,
და სხივები მოელვარე ცაზე
სადღაც იქით,გულს სხვაგვარად მითბობს.
და ეს სითბო გადმოღვრილი ციდან,
ეფინება დამშრალ გულის კიდეს,
ალისფერად მოელვარე სხივი,
იშლება და იქარგება ისევ.
ჟრიამული აუტეხავთ ჩიტებს,
ო, რა ტკბილად გალობს გარეთ შაშვი.
მინდორში კი მოშრიალე სიო,
ყვავილების გვირგვინს იწნავს თმაში.
როცა წვიმს და ღრუბელია ცაზე,
იცი,მაშინ სხვანაირად ვღელავ,
ვილევი და ვიკარგები ჩემო,
რადგან ისევ სიყვარულის ტყვე ვარ.
მაგრამ როცა ლაჟვარდოვან ზეცას,
ცეცხლისფერი მოედება გულზე,
და ალისფრად მოელვარე სხივებს
წითელი მზე ააფეთქებს ცაზე.
გეგონება შერევია ლაჟვარდს,
ზეცას ცეცხლი მოსდებია თითქოს,
და სხივები მოელვარე ცაზე,
სადღაც იქით გულს სხვაგვარად მითბობს.

*09.05.2022 წ.*

## ნეკერჩხალი

წითლად ღვივის გზის ნაპირას ნეკერჩხალი,
ეს მე ვარო შემოდგომის დედოფალი!
მზის სხივებში მოელვარე, გაბადრული,
წითელკაბა, დაბრაწული ნეკერჩხალი.
აშრიალებს, ფოთლებს ისე აშრიალებს,
ალმური აქვს მოდებული თითქოს ტანზე,
ქუჩის პირას მარტო მდგარი ნეკერჩხალი,
ლამაზია, მართლა ყველა დედოფალზე!
მიწას წითლად მოჰფენია მზის სხივები,
ალიონსაც ნეკერჩხალის ფერი დასდევს,
თითქოს ცეცხლი მოსდებია არემარეს,
ისე ფანტავს წითელ ფოთლებს ქარი გზებზე.
ქუჩის პირას მარტო მდგარი ნეკერჩხალი,
წითელკაბა, მოელვარე, დაბრაწული,
მზის სხივებით გავსებული,გაბადრული,
თითქოს ამბობს, ეს მე ვარო დედოფალი!
აშრიალებს, ფოთლებს ისე აშრიალებს,
თითქოს ცეცხლი მოსდებია მთლიან ტანზე,
ქუჩის პირას მარტო მდგარი ნეკერჩხალი,
ლამაზია, მართლა ყველა დედოფალზე!

*2021 წ.15.10.*



## ყვითელი შემოდგომა

გარეთ ყვითელი შემოდგომაა,
შენ რომ გიყვარდა სწორედ ისეთი,
ხშირად ამბობდი, ასაკს უხდებაო,
ნაირფერობენო ირგვლივ ფოთლები.
ქარი დაქრის და მზეს ეთამაშება,
ფოთლებს აშრიალებს გიჟი ქალივით.
სურნელს დააქროლებს, მიწას ეფერება,
გულში ეკონება ჩვილი ბავშვივით.
ირგვლივ შემოდგომა ფერებს აბრიალებს,
გზაზე ნეკერჩხალი ცეცხლისფრად ღვივის,
როგორ დახატულა დილა შემოდგომის,
როგორ გადმოღვრილა ფერები ღვინის.
ფიქრი შესევია ყვითელ შემოდგომას,
წითელ ნეკერჩხალს ცრემლი მორევია,
სულში სიმარტოვე ისე შემოჭრილა,
რომ ქარი ფოთლებს გიჟივით მიმოფანტავს
დილით ისევ ისე მღერის შემოდგომა,
სითბოდ გადმოღვრილი ოცნებად მიქრის.
ირგვლივ შარემარე ფერებს აბრიალებს,
გზაზე ნეკერჩხალი ცეცხლისფრად ღვივის.
გარეთ ყვითელი დადგა შემოდგომა
შენ რომ გიყვარდა სწორედ ისეთი,
ხშირად ამბობდი ასაკს უხდებაო,
ნაირფერობენო ირგვლივ ფოთლები.

*2020 წ.11.09*

## შემოდგომის ქარავანი

შემოდგომის ქარავანი მიუყვება ქალაქს,
სურნელებას აფრქვევს, თითქოს უნდა მზეს რაღაცა უთხრას.
ფერად ფოთლებს ანარნარებს, ატრიალებს ქარში,
შემოდგომის ქარავანი ფერებს ხატავს ცაში.

წითელ-ყვითელი ფოთლები მოსდებია ქუჩებს,
მოგონებები მიყვება ჯერ ბილიკებს უჩვევს,
მზის სხივები ჩახვევია წითელგულა ურთხმელს,
თავბრუს ახვევს სურნელება მონატრებას უთქმელს!

და მიჰყვება მოგონება ბილიკებით ქუჩებს,
მზე კი თავზე დასტრიალებს, აღარავის უმზერს,
შემოდგომის ქარავანი ფერებს ხატავს ცაში,
ფოთლები კი ისევ ისე, ბრიალებენ ქარში.

და ფარფატით წითელ ზეცას ეხვევიან თმაში,
სურნელი კი ისეთია, რომ დაგივლის ტანში,
ჟრუანტელის მომგვრელია ეს ფერები ქარში,
ფოთლები კი ბზრიალებენ წითელი მზის ცაში.

შემოდგომის ქარავანი მიუყვება ქუჩას,
სურნელს აფრქვევს, თითქოს უნდა მზეს რაღაცა უთხრას.
ფერად ფოთლებს ანარნარებს, ატრიალებს ქარში,
შემოდგომის ქარავანი ფერებს ხატავს ცაში.

*2021 წ. 22.10.*



## იცი, როგორი შემოდგომაა?

ისევ ისეთი ყვითელი მზეა.
ფოთლებიც ისევ ყვითლობენ მზეზე.
იცი როგორი შემოდგომაა...
ბროწეულებს რომ დახეთქავს ხეზე.
ფოთლები ისევ ეცემა მიწას,
ხალიჩასავით ედება გულზე,
საოცარია... წლის ეს დრო მიყვარს,
ცეცხლმოკიდებულ ნეკერჩხლის ფონზე.
ისევ ისეთი ყვითელი მზეა
და შემოდგომა ფერებით სავსე,
ფოთლები ისევ ღვივიან ყვითლად
ნაირფერებად მოფენილ გზებზე.
და ეფერება მზის სხივი მიწას,
ხალიჩასავით ედება გულზე,
და ნეკერჩხალსაც, ფერთა დედოფალს,
წითლად უღვივის ფოთლები მზეზე.
იცი როგორი შემოდგომაა...
გული რომ გიჟობს ფერთა ღიმილზე,
მზე ვეღარ უძლებს ამდენ ფეთქებას
ყვითლად მოფენილ სავალ ბილიკზე.
რა საოცარი შემოდგომაა.
გულს რომ გაგითბობს ვნებით გათელილს.

ალმური ასდის მთებსა და მდელოს,
თვალს ვერ წყვეტ კორდებს წითლად შეფერილს.
ისევ ისეთი ყვითელი მზეა,
ფოთლებიც ისევ ყვითლობენ მზეზე.
იცი როგორი შემოდგომაა...
ბროწეულებს რომ დახეთქავს ხეზე.

*2020 წ.31.10.*



# ზეცა მაღლიდან ანწყობს მზეობას

## წინაპართა ნატერფალი

იქ სდაც მთები ლაჟვარდებს წვდება,
მზის სხივს იტაცებს თეთრი ბურუსი,
ცას უერთდება ტკბილი გალობა,
საოცარია ამ დროს აისი.
იქ სადღაც ზემოთ ღრუბლების მიღმა
ნისლი რომ ფარავს გაშლილ მთა-ველებს,
მთის მერცხალი რომ დაფრინავს ლაღად
და ემღერება საოცარ ფერებს.
აქეთ ჩანჩქერი ეცემა მიწას,
გაშლილი თმები ქვებზე ეხვევა,
ამ სილამაზის შემყურეს უკვე,
გული საგულეს აღარ მეტევა.
ზარზმის მონასტრის გუმბათის სხივი
ჯვარზე ათინათს ათასფრად ხატავს,
გული საოცარ მადლით აღვსილი,
დედაღვთისმშობელს მადლობას სწირავს.
სისხლის ყივილი გულამდე აღწევს,
თვალი ცრემლების სადინარია,
მაშინ შეიგრძნობ, ეს მიწა-წყალი
შენი წინაპრის ნატერფალია.
იქ სადაც მთები ლაჟვარდებს წვდება,
მზის სხივს იტაცებს თეთრი ბურუსი,
ცას უერთდება ტკბილი გალობა,
საოცარია ამ დროს აისი.

*01.07.2022 .წ.*

## სვეტიცხოველი

კვართი უფლისა გულად ქცეული,
ძელიცხოველი ამაყად მდგარი,
სვეტიცხოველი რწმენის სამჭედლო,
მადლით მოსილი ქალაქი ძველი.

ზეცამდე აღწევს ლოცვა-ღაღადისი,
ნათლის შუქი ადგას მადლიან ტაძარს,
ზეციდან რეკავს ზარებს შემოქმედი
და ეს გუგუნი სამყაროს ფარავს.

გული იგალობს და ზეცას შეჰღაღადებს,
მზის სხივი გულში ჩაკვრია მცხეთას.
სვეტიცხოველი ცამდე აწეულა
და მისი მადლი ქვასაც კი ხეთქავს

რეკავს დედოზარი, რეკავს, დუდუნებს,
მერე ყველა ზარი ერთად ბუბუნებს.
ჩუმად მოიმღერის, ჩუმად ღუღუნებს,
სვეტიცხოველი ლოცვად გუგუნებს.

*2020 წ.14.10.*



## ლომისა

ცამდე აზიდული მთების სიდიადეს
ნისლში მიმალული მზე მაინც ათბობს,
სადღაც მთის წვერზე მოჩანს სალოცავი,
მისკენ მიმავალთ, ლოცვებით გვიხმობს.

თითქოს ცის სილურჯეს ხელით შევეხებით,
უფლის სიდიადეს მადლობას ვწირავთ,
თავზე გადმოგვყურებს ძველი სალოცავი,
ჯვარი აღმართული, საოცრად ბრწყინავს.

ზეცას უერთდება ძველი ეკლესია,
ნათლის სხივი ადგას უძველეს ტაძარს,
მადლით აღვსილნი უფალს შევღაღადებთ,
ლოცვას აღვუვლენთ ზეციურ მამას.

*2020 წ.07.09.*

## შობა

ღამემ დაიდგა გვირგვინი თავზე,
ვარსკვლავთა კაშკაშს გული ცად მიაქვს,
ანგელოზების ისმის გალობა,
უფალი იშვა, ზეცავ მადლობა!
ზარები რეკავს, გუგუნებს, მღერის,
ზეიმობს, ხარობს ვარსკვლავთამფენი,
ყველა სარკმელთან იწვის სანთელი,
შობის ღამეა, იშვა ნათელი!
ბეთლემის ცაზე ვარსკვლავი ელავს,
ქრისტე იშვაო, გვახარებს ყველას,
თოვლის ფიფქები ეშვება ციდან,
ისმის გალობა მაღალთა შინა!
თეთრი ღამეა, ფანტელი ცვივა,
ანგელოზები გალობენ ციდან,
ზარები რეკავს, ცამდეა გული,
უფალი სუფევსმშვენება სრული!
ღამემ დაიდგა გვირგვინი თავზე,
ვარსკვლავთა კაშკაშს გული ცად მიაქვს,
ანგელოზების ისმის გალობა,
უფალი იშვა, ზეცავ მადლობა!

*2022 წ.06.01.*



## ზეცად წასული სულები

მზე რომ სამყაროს ანათებს, ასხივოსნებს და ათბობს,
გულში იმედა იღვრება, სათქმელს სხივებად ამბობს.
სიყვარულს ყველას უგზავნის და სილამაზით ატკბობს,
იცით?ამ დისკოს ვინ ავსებს, ან ვინ აგზავნის სითბოს!

ზეცად წასული სულები, ამაღლებული ღმერთთან,
ლოცვად დამდგარნი, სხივებად ჩახუტებული მზესთან.
ხშირად სიზმრებში მოსულნი, მონატრებასთან ერთად,
სულის იმედად ქცეულნი, მარადისობის წლებთან!

მაღლიდან ჩუმად მლოცველნი და მვედრებელნი ღმერთთან,
ხანდახან წვიმად მოსულნი, გადაქცეული სევდად.
ან კიდევ, ცისარტყელებად მიმოფანტული ზეცად,
ოცნებად გადაქცეულნი ცის ლაჟვარდებთან ერთად.

აი, ვინ ათბობს სამყაროს, ვინ ეფერება ზეცას.
სხივებად გადაქცეულნი, შუამდგომელნი ღმერთთან.
სიყვარულისთვის მლოცველნი, მონატრებასთან ერთად,
ოცნებად გადაქცეულნი მარადისობის წლებთან!

*2021 წ. 23.08.*

## ფერიცვალება

თეთრმა ღრუბელმა მთები დაფარა
და წამიერად ბურუსი დადგა.
ფერი იცვალა თითქოს ბუნებამ,
ჯვრის ელვარებამ ლაჟვარდი გაჭრა.

გამთენიისას ზარების რეკვამ
შემოაბრძანა მზის სხივი ცაზე.
მაშინ იწვიმა ზეცამ სხივებად,
ათინათებად გუმბათის ჯვარზე!

ზარების გუგუნს მიყვება ცამდე
ლოცვა უფლამდე ამაღლებული.
მზის სხივი ისევ სამრეკლოს ხატავს
და მადლი ადგას ფერიცვალების!

*2021 წ. 19.08.*



## მარიამობა

ციდან ღრუბელი გადაკარგულა,
ზეცა მაღლიდან აწყობს მზეობას,
მყინვარწვერები ამაყად მდგარნი
პატივს აგებენ ზეცის დედოფალს!

ღვთისმშობლის კალთაგადაფარებულს
მზეც კი სხვაგავარად დაჰნათის ციდან,
კურთხეულ მიწას ლოცავს მაღლიდან,
უფალს ავედრებს ქვეყანას მისას!

ანგელოზები ზარებს რეკავენ,
ზეცა მაღლიდან აწყობს მზეობას,
ციდან ეშვება სხივი ნათელი
და ადიდებენ ზეცის დედოფალს!

*2021 წ. 27.08.*

## ვედრება

დედა ღვთისმშობელო, დედა დედოფალო,
შენს წილხვედრ მიწას გთხოვ რომ დაეხმარო.
ცოდვებში ჩაფლულები, მუხლად მოდრეკილნი
დედავ უფალს შეავედრე გთხოვ ქართველები!

უღმერთოდ ნაცხოვრები, წელში მოხრილები,
ცოდვების გამო სულდამძიმებულები.
ბოროტის ფეხისხმას ერთხმად აყოლილნი
დედავ, უფალს შეავედრე გთხოვ ქართველები!

გონება დაბინდული, გული გაყინული,
იუდასავით ვერცხლით მოსყიდული.
უფალს შეავედრე შენი ქართველები
დედაღვთისმშობელო ამას გევედრები,

*2021 წ.14.08.*



## ღვთისმშობლის სადიდებელი

შენ ხარ იმედი, გაზაფხული ხვალინდელ დღისა!
შენ ხარ ოცნება, სათნოება, სახება ღვთისა,
შენ ხარ ვარსკვლავი მოკაშკაშე, მნათობი ცისა,
შენ ხარ ლაჟვარდი, ელვარება სიკაშკაშისა
შენ ხომ სითბო ხარ, სიყვარული ყოველი დღისა,
შენ ხომ ფიქრი ხარ და ტკივილი ხარ ჩამავალ მზისა,
შენ ხომ დილა ხარ, ალიონი ნათელი ცისა,
შენ ხარ იმედი ღვთისმშობელო ხვალინდელ დღისა!
შენ ხარ ყვავილი შემოსილი საოცარ ფერად,
შენ ხარ სურნელი მათრობელი, დიდება შენდა!
შენ ხარ ვენახი ღვთისმშობელო მლოცველთა შენთა,
შენ ხარ მაყვალი შეუწველი, დიდება შენდა!

*2020 წ. 28.03.*

## სავედრებელი

შენი ხატის წინ მუხლმოდრეკილი
ლოცვად გეაჯები დედაღვთისმშობელო.
ცოდვით დამძიმებულს გზები გამიკვალე,
სულის ჭრილობები დედავ დამიამე.
ცრემლი სინანულის მსხვერპლად შეიწირე,
ჩემი ღაღადისი დედავ შეისმინე,
დედავ სიყვარულის, დედავ ერთგულების,
დედავ სიწმინდის და დედავ მოწყალების.
ზეცის კარიბჭეთა ლოცვით განმღებელო,
მადლით შემოსილო დედაღვთისმშობელო,
ციურ მარგალითთა თვალო მშვენიერო,
სულში ანთებულო მზეო კურთხეულო.
ლოცვით დამაშვრალთა წყაროვ მადლიანო,
ლურჯი ალიონის დილავ ადრიანო,
სულში ანთებული მზე ხარ კურთხეულო,
მადლით შემოსილო დედაღვთისმშობელო.
დედავ სიყვარულის, დედავ ერთგულების,
დედავ სიწმინდის და დედავ მოწყალების,
ცრემლი სინანულის მსხვერპლად შეიწირე,
ჩემი ღაღადისი დედავ შეისმინე.

*13.05.2022 წ.*



## სიყვარულის ღაღადია ღმერთთან!

ლურჯ ლაჟვარდებს მზის სხივები ჩახვევია,
ღუბლები კი ნეტარებით თრთიან.
ზეცას ადგას ოქროსფერი შარავანდი
და იღვრება ყვითელი მზე ციდან.

მონატრება ზეცის კარებს ურცხვად აღებს,
როგორ უნდა ჩახუტება შენთან.
ეფერება ყვითელი მზე შემოდგომას,
სიყვარულის ღაღადია ღმერთთან!

ღრუბლებისკენ გაფრენილი მონატრება,
მზის სხივების გვირგვინს იდგამს თავზე,
შემოდგომის სურნელს აფრქვევს ქარი ისე,
რომ ფოთლები იხატება ცაზე!

ზეცას ისევ შარავანდი თავზე ადგას,
ყვითელი მზე იძირება გულში,
ცის ლაჟვარდებს მიღმა ვიცი სამყაროა,
სადაც მეფობს სიყვარულის ღმერთი.

და იღვრება ყვითელი მზე კაბადონზე,
ეფერება მზის სხივები ზეცას,
შემოდგომის სურნელს აფრქვევს ისევ ქარი,
სიყვარულის ღაღადია ღმერთთან!

*17.10.2021 წ*

* * *

სამყაროს ჩაბმულს ცოდვის მორევში,
სიმძიმე მისი მუხლზე აჩოქებს.
სამყარო უფლის უარმყოფელი,
ვერ გაიხარებს დედამიწაზე!
ზარმა ჩამოკრა,
განგაშის ზარმა,
და ფეხზე დადგა ირგვლივ ყოველი,
შიში მოედო მთელ დედამიწას,
შიში სასტიკი და საშინელი.
დღეს იქნებ ამან გამოგვაფხიზლოს,
და უფლისაკენ
აღვაპყროთ ხელი,
მას შევევედროთ, რომ მოგვიტევოს
უღმრთოდ განვლილი ცხოვრება ჩვენი.
უფალო, ღმერთო, შეგვინდე ცოდვა,
მუხლმოდრეკილნი აღვავლენთ ლოცვას,
უფალო, ღმერთო, დიდება შენდა,
შენ ხარ იმედი მლოცველთა შენთა.

*2020 წ. 01.04.*



## ჯვარცმა

ზეცამ ბინდისფერ ზარებს ჩამოკრა,
ცას გადაეკრა შავი ღრუბელი,
წვიმა კი არა ცრემლები ცვივა,
ცრემლები სისხლად გადაქცეული.
გულისტკივილის შეიგრძნობს ფეთქვას,
სული სანთლებად ჩამოღვენთილი,
ჯვარზე გაკრული უფლის ტკივილებს
გლოვობს სამყარო დადუმებული.
დღეს გლოვის დღეა, მზეც შავად ფერობს,
სევდისფერია ირგვლივ ყოველი,
დღეს ყველას გულში ტკივილი, ცრემლი,
სევდა, ფიქრია გამეფებული.
კაცობრიობის ცოდვის ამღები,
ჯვარზე გაეკრა ჩვენთვის იესო,
ხალხმა ბარაბა უფალს არჩია,
განკაცებული ღმერთი ვერ იცნო.
დღეს გლოვის დღეა, გლოვობს ყოველი,
ზეციდან ცვივა წვიმა ცრემლებად,
ჯვარზე გაკრული უფლის ტკივილებს
მუხლმოდრეკილნი შევთხოვთ შენდობას.
ზეცამ ბინდიფერ ზარებს ჩამოკრა,
ცას გადაეკრა შავი ღრუბელი,
ჯვარცმა უფლისა კაცობრიობის
გამომხსნელია მარადიული!

*2020 წ.09.04.*

## აღდგომა

ღამე გაიპო, ნათელმა
გამოანათა ბნელი.
– ქრისტე აღდგაო გაისმის
გუგუნებს მთელი ერი!
– ქრისტე აღდგაო და ცაზე
გამოისახა ჯვარი,
ციურ მნათობთა გალობა,
ანგელოზების დარი!
– ქრისტე აღდგაო ნათელმა
კვლავ დაამარცხა ბნელი,
ზეაპყრობილი ხელებით
უფალს უგალობს ერი!
ზარები რეკავს, დუდუნებს,
გული საგულეს არ დგას,
დღეს ხომ სინათლის დღე არის,
დღეს ხომ უფალი აღდგა!
აღდგომის მადლი გვფარავდეს
ღმერთმა აღგვავსოს რწმენით,
– ქრისტე აღდგაო გვეძახოს
კიდევ მრავალი წელი!

*2020 წ. 10.04.*



## თურმე...

თურმე როგორი პატარა ხდება
ადამიანი რწმენის გარეშე,
სხვისი ტკივილის არად მხმობელი,
მხოლოდ მზრუნველი საკუთარ თავზე.
თურმე როგორი უმწეო ხდება
ადამიანი უფლის გარეშე,
საკუთარ თავში გამოკეტილი
სარკაზმითა და ცინიზმით სავსე.
თურმე როგორი საცოდავია
ადამიანი გულის გარეშე,
ამქვეყნიური საზრუნავისაგან
გადაგებული საკუთარ თავზე.
თურმე როგორი საცოდავია
ადამიანი ამქვეყნად ყველა,
ვისაც არა აქვს უფლის იმედი,
ვისაც არა აქვს ნდობა და რწმენა.

*2020.წ.11.04.*

## რწმენით გამატარე კლდოვან ბილიკებზე

სულის სამყოფელი ლოცვით გამინათე,
რწმენით გამატარე კლდოვან ბილიკებზე,
გული მოყვასისთვის მუდამ ამიძგერე,
სხვაზე აუგის თქმით ღმერთო დამიფარე!
ამაქვეყნის ხიბლით გული დამიცალე,
შენი საყდრის კართან ჩოქვით მომიყვანე,
სულში სინანული ცრემლად ჩამიღვარე,
ვიცი ცოდვილი ვარ, ღმერთო შემიწყალე!
ვნების ქარტეხილი რწმენით დამიმარცხე,
სული სიყვარულით ზეცად ამიმაღლე,
ცოდვით დამძიმებულს გულში ჩამეცალე,
ვიცი ჩემს გვერდით ხარ, ღმერთო დამეხმარე!
ცოდვა – მადლის გემო უკვე გამოვცადე,
ნიღბიანი სახე ვეღარ ავიტანე,
დანისლული გზები წარსულს ჩავაბარე,
შენი იმედი მაქვს, ღმერთო შემიწყალე!
ცოდვით დაცემული ლოცვად დავეგები,
ღმერთო შემიწყალე ამას გევედრები,
ვნების ქარტეხილი რწმენით დამიმარცხე
სული სიყვარულით ზეცად ამიმაღლე!
შენი საყდრის კართან ჩოქვით მომოყვანე,
ამაქვეყნის ხიბლი ლოცვად შემიცვალე,
სულში სინანული ცრემლად ჩამიღვარე,
ცოდვილი მხევალი ღმერთო შემიწყალე!

*19.06.2022 წ.*



## სარჩევი

### მომისმინე ცაო


მე რომ ზეცას შევღაღადო... 5
შავთეთრი ფიქრები 6
ვიცი, რომ ხელს არ გამიშვებ... 7
* * * გარეთ ფერდობზე თვალი მოვკარი 8
მთვარეს გულში ჩავარდნია ზღვა 9
ჩემი ზღაპარი 10
სევდის მომგვრელი ფიქრი 11
სევდა 12
დანამული თვალები 13
მე ქარიშხალში მოგონებებად დავიშალე 14
უსასრულო ლაჟვარდები 15
მე კი მზის სხივების მეხარბება 16
ქალი 17
მზე 18
მზის სხივებით მოვიხიბლე უცნაურად 19
ლილეო 20
* * * შორიდან ისმის მელოდია... 21
საათი წუთებს ითვლის... 22

მე გაზაფხულის ქალი ვარ....23
ლურჯი აპრილი....24
შემობრიალდა აპრილი....25
სიცივე ატანს სულის კედლებში...26
ფიქრების ჩერო....27
ხალხური მოტივები....28

## სწორედ ისეთი შემოდგომა, ბროწეულებს რომ დახეთქავს ხეზე

სიტურფე დილის....31
ფიქრიანი ზამთარი....32
ცისკრის დედოფალი....33
თეთრი ზამთარი....34
იანვრის ქარი....35
თებერვლის ღამე....36
* * * ზეცავ გააღე დანისლული ზეცის კარები,....37
გაზაფხული მთაში....38
ათოვს და ათოვს ატმის ყვავილებს...39
გაზაფხული....40
თეთრი მაისი....41
ყაყაჩოები....42
ტირიფი....43
ვარდობისთვე....44



ვარდი....45
ზაფხულის ღამე....46
გადარეული ივლისი....47
მზესუმზირები....48
ჭრიჭინების ღამე....49
შემოდგომის მზე!....51
ლამპიონები ანათებს ქუჩას....52
დაკარგული მზე....53
ფოთოლცვენის ღამე....54
წითელი მზე!....55
ნეკერჩხალი....56
ყვითელი შემოდგომა....57
შემოდგომის ქარავანი....58
იცი, როგორი შემოდგომაა?....59

## ზეცა მაღლიდან აწყობს მზეობას

წინაპართა ნატერფალი....63
სვეტიცხოველი....64
ლომისა....65
შობა....66
ზეცად წასული სულები....67
ფერიცვალება....68
მარიამობა....69

ვედრება ..... 70
ღვთისმშობლის სადიდებელი..... 71
სავედრებელი ..... 72
სიყვარულის ღაღადია ღმერთთან! ..... 73
* * * სამყაროს ჩაბმულს ცოდვის მორევში, ..... 74
ჯვარცმა..... 75
აღდგომა..... 76
თურმე... ..... 77
რწმენით გამატარე კლდოვან ბილიკებზე ..... 78